უპირატესობა ვერ გამოიყენეს

მოსკოვი. (ჩვენი კორ.). თბილისის დინამოელები 21 მაისს დედაქალაქის ცენტრალურ სტადიონზე შეხვდნენ სამხედრო–საზღვაო ძალების ფეხბურთელთა გუნდს.

თბილისელებმა მთელი მატჩი მაღალ ტემპში ჩაატარეს. მათ ორივე ტაიმის განმავლობაში აშკარა უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ იგი ვერ გამოიყენეს. მოსკოველთა დაცვისა და განსაკუთრებით მეკარე სამსონოვის თავგანწირული თამაშის შედეგად მეზღვაურთა გუნდმა თავი დააღწია დამარცხებას.

მატჩი დამთავრდა ფრედ – 0:0.

კვირას 27 მაისს, თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის "დინამოს" სტადიონზე თბილისის დინამოელები მორიგ კალენდარულ მატჩში შეხვდებიან მოსკოვის "სპარტაკის" ფეხბურთელებს.

"ლელო", 25 მაისი 1951 წ.